კონკურსი: „გადმოსახედის“ ესკიზური პროექტი

2019 წლის 15 მაისს საქართველოს რეგიონალური განვიტარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვიტარების ფონდმა გამოაცხადა სტუდენტური კონკურსი „გადმოსახედების“ ესკიზურ პროექტზე.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა.

1 აგვისტო 2019 ,,გადმოსახედების" ესკიზური პროექტების მომზადებაზე გამარჯვებული სტუდენტები გამოვლინდნენ: **სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები** თეიმურაზ გაბუნია და იოსებ მათიაშვილი. დაჯილდოებას დაესწრი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი.



კონკურსში მონაწილეობა მიიღო მე-3 კურსის სტუდენტმა გიორგი ჩაბალუხამ და მე-2 კურსის სტუდენტმა ნიკიტა ტიმოშენკომ.

გიორგი ჩაბალუხა



ნიკიტა ტიმოშენკო



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალურიგანვ
ითარების ფონდი ქვეყნის მასშტაბით გადმოსახედი მოედნების მშენებლობას იწყებს. პროექტის
მიხედვით, გადმოსახედები მოეწყობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სათანადოდ შერჩეულ ადგილებშ
ი -
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ან/და გზების მიმდებარე, ტურისტულად მიმზიდველ ისე
თადგილებში, საიდანაც იშლება შორეული ხედები.საქართველოში ტურიზმი ერთ-
ერთი ყველაზე მზარდი სექტორია. სულ უფრო აქტიური ხდება შიდატურიზმიც. ტურისტებსა და მოგ
ზაურებს შთაბეჭდილებებს არამხოლოდ ტურისტული ობიექტები, არამედ გზების პირას განთავსებუ
ლი ფუნქციური ნაგებობებიც და უბრალოდ განსაკუთრებული
ლანდშაფტის მქონე ადგილებში მოწყობილი გადმოსახედებიც უქმნიან.

მუნიციპალური განვითარების ფონდი პროექტის განხორციელებას სტუდენტების ჩართულობით
გეგმავს. აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიიდან და საქა

რთველოს ტექნიკურ უნივერსიტეტიდან გამოვლინდნენ გამარჯვებული სტუდენტები, რომლებმაც შეადგინეს გადმოსახედების ესკიზური პროექტები.

შერჩეული ესკიზური პროექტების ავტორი სტუდენტები ჩაერთვებიან გადმოსახედების მშენებლობის პროცესში და ამ სახით სტაჟირებას გაივლიან მუნიციპალური განვითარების ფონდში. ა მით პროექტში ჩართულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება განვითარდნენ პროფესიულად და შეიძინონ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება.